

შოთა მშვენიერაძე*

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

რუსეთის ფედერაციამ არაერთგზის დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია განახორციელა და მათზე ორი პოლიტიკური ერთეულის: აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ჩამოყალიბება გამოაცხადა. ამ ერთეულებმა ვერ მოახერხეს საერთაშორისო აღიარების მოპოვება, ხოლო იქ მცხოვრებ ადამიანთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ეს საერთაშორისო სამართლისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საერთაშორისო სამართალს ამ უფლებათა დარღვევის პრევენციის ორი ძირითადი გზა გააჩნია. ერთი მხრივ, ამ ერთეულებისათვის შეზღუდული სამართალსუბიექტობის მინიჭება და ამ გზით მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. მეორე შესაძლებლობა კი, რაც საერთაშორისო სამართალს გააჩნია, ესაა სხვა, გარე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ამ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა ეს უნდა იყოს სახელმწიფო, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს ამ რეგიონებზე. ასეთ სახელმწიფოს ჩვენს შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: დე ფაქტო რეჟიმები, ადამიანის უფლებები, შეზღუდული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, გარე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

1. შესავალი

თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური მოწყობა მრავალი განსხვავებული პოლიტიკური სუბიექტის თანაარსებობას გულისხმობს. ამგვარი საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა ქმნის მრავალფეროვან საერთაშორისო სისტემას, სადაც ერთმანეთის გვერდით მათ შორის, ვხვდებით ზენაციონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ერებს, სუვერენულ სახელმწიფოებსა და sui generis ტერიტორიულ ერთეულებს.¹

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებად საერთაშორისო სისტემაში დღეისათვის სახელმწიფოებია წარმოდგენილი, „ნათელია, რომ მრავალი განსხვავებული ტიპის საერთაშორისო სამართლებრივი პირები არსებობენ.“²

ამგვარი შემთხვევები მეტწილად სახელმწიფოთა შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ მათი

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. European Student Think Tank-ის ბორდის წევრი, საერთაშორისო ოფიცერი.

¹ შეად. ფიფია ს., ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 215.

² Dixon M., McCorquodale R., Williams S., Cases & Materials on International Law, 6th ed., Oxford University Press, 2016, 136.

ფორმირების ისტორიის სიღრმეებში შესვლა მოცემული სტატიის მიზნებისთვის არარელევანტური იქნებოდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოთ ხსენებული საერთაშორისო პროცესის ნაყოფს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხიც.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩამოყალიბება,³ (მიუხედავად თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურობისა,⁴ საერთაშორისო დონეზე მათი მსგავსი *sui generis* ტერიტორიული ერთეულებია მაგალითად, ჩრდილოეთ კვიპროსი და ტრანზნისტრია: თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა),⁵ მეტწილად უკანონო ძალისმიერი მეთოდების შედეგია და ამგვარი ერთეულები უმეტესად ვერ ახერხებენ ფართო საერთაშორისო აღიარების მოპოვებას.

ამ უკანასკნელის პირდაპირი მაგალითია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებული *de facto* რეჟიმები, რომლებმაც გარდა საერთაშორისო აღიარების ვერ მოპოვებისა, ვერ შეძლეს ძლიერი და დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა და ეფექტიანი თვითგამოცხადებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება.

ამგვარ გარემოში კი, პირველი მსხვერპლი, ადამიანი და მისი ძირითადი უფლებებია. შეუძლებელია, რომ ტერიტორიული ერთეული, რომელიც ერთი მხრივ, უკანონობის ნაყოფია და მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემაში უკანონო წარმონაქმნის სტატუსის მატარებელია, მის ტერიტორიაზე კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტზე საუბრობდეს.

რეალურად კი შექმნილია ვითარება, რომლის თანახმადაც ერთი მხრივ, გვაქვს საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც (საკმაოდ სამართლიანად) აცხადებს: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.“⁶ მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიიჩნევს აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“, რითაც პრაქტიკულად იხსნის პასუხისმგებლობას ამ ტერიტორიებზე ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე.

³ შეად. საქართველოს კონსტიტუცია, პირველი მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

⁴ *ოხანაშვილი ნ.*, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 125-126.

⁵ იხ. *შამუგია ვ.*, დნესტრისპირეთის კონფლიქტი, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 70-71.

⁶ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მე-7 მუხლი, სსმ, 28, 30/10/2008.

თვითგამოცხადებული რეჟიმების მხრიდან კი თავიდანვე ცხადია, აბსურდს წარმოადგენს ამგვარი უფლებების სრულყოფილად გარანტირებაზე საუბარი. მაშასადამე სახეზეა სამართლებრივი ნაპრალი, რომელიც აქტუალურად წარმოგვიდგენს ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას, როდესაც აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო სამართალი და მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არასაკმარისია ამ ნაპრალის ამოსავსებად, ვინაიდან ის უმეტესად დაინტერესებულია ქცევის აკრძალვით, ვიდრე ინდივიდთა დასაცავად პოზიტიური ვალდებულებების აღსრულებით“,⁷ საერთაშორისო სამართალი მაინც მთავარ და ჯერ-ჯერობით ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება ამ ტერიტორიებზე ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

ნაშრომის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის მექანიზმების გამოკვლევა, რის ფარგლებშიც განხილულია ერთის მხრივ, აღნიშნული ერთეულების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, მეორეს მხრივ კი ამგვარ დარღვევათა გამო სხვა სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

2. ძირითადი საერთაშორისო მექანიზმები და ალტერნატივები

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილად დაცვის საკითხი ცივილიზებულ საზოგადოებაში კამათის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს. ისინი ხომ არა სახელმწიფოს მიერ ბოძებულ უფლებებს, არამედ იმგვარ უფლებებს წარმოადგენენ, რომელიც ყველა ადამიანისათვის თანდაყოლილი და მუდამ თანმდევია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ სძალუძს ადამიანისათვის მისი ძირითადი უფლებების მინიჭება ან ჩამორთმევა, ზოგადად სწორედ სახელმწიფოს - როგორც საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტს აკისრია მის ტერიტორიაზე ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. აქ თავს იჩენს საკითხი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობის შესახებ, ვინაიდან აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ არ გააჩნიათ ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტურობა. ეს მნიშვნელოვან პრობლემებს აჩენს საერთაშორისო დონეზე, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვისას აღნიშნული რეჟიმების პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში.⁸

⁷ *Tan D.*, Filling the Lacuna: De Facto Regimes and Effective Power in International Human Rights Law, International Law and Politics, 2019, 443.

⁸ დამატებით იხ. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი I-III, 2009, 443-444, <<https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>> [10.04.2022].

მაშასადამე, იმისათვის, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა, ტერიტორიებზე ეფექტურად განხორციელდეს, მნიშვნელოვანია მოხდეს მათ დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. ამგვარი პირი შესაძლოა იყოს სხვა სახელმწიფოც, რომელიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს კონკრეტულ de facto რეჟიმზე.

განვიხილოთ საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტისთვის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობები.

2.1. De facto რეჟიმების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი

საერთაშორისო სამართალს ლოგიკურია არ შეუძლია დააკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ სუბიექტს, რომლის საერთაშორისო სამართალსუბიექტობასაც იგი არ აღიარებს. მეორეს მხრივ კი, უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია იმ ერთეულთა სრული უგულებელყოფა, რომლებიც გარკვეული ფორმით საერთაშორისო სისტემაში ნამდვილად არსებობენ.

მაშასადამე იმისათვის, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებული de facto რეჟიმების მმართველობის ქვეშ მცხოვრები ადამიანები, სრულად მოწყვეტილნი არ ყოფილიყვნენ უფლებათა დაცვის შესაძლებლობებს, მათ გარკვეული საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი ესაჭიროებოდათ. ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ფორმატი, რომელიც შეზღუდული სახით იქნებოდა საერთაშორისო სამართლისა და ამ ერთეულთა ურთიერთობის სამართლებრივობის საფუძველი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ამგვარი ერთეულების სამართლებრივი სტატუსის უგულებელყოფა დაუშვებელი და გაუმართლებელია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საერთაშორისო სამართალს განსხვავებული პოლიტიკური შინაარსის ერთეულებთან, არაერთგვაროვანი და განსხვავებული მიდგომების გამოყენება ესაჭიროება. ამის მაგალითია ისიც, რომ საერთაშორისო სისტემაში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, შეზღუდული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გააჩნიათ.

ამგვარი სტატუსი, დიპლომატიის ენაზე ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, აღნიშნული ტერიტორიები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტებს, ამოცანად რჩება აქ მცხოვრებ პირთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და უფლებათა დაცვა, რის საშუალებასაც შეზღუდული სამართალსუბიექტობა მართალია არასრულად, მაგრამ მაინც იძლევა.

ხაზგასასმელია ის, რომ ამგვარი სტატუსი არცერთ შემთხვევაში არც საჭიროებს და არც ნიშნავს ამ ერთეულის დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულად აღიარებას - საერთაშორისო პრაქტიკა ამის არაერთ მაგალითს

მოიცავს. მეორეს მხრივ ამგვარი სტატუსი (შეზღუდული სამართალსუბიექტობა) გულისხმობს ამ ერთეულისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრებას, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული, აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროებში.

შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტების შეხედულებათა გააზრება. მაგალითისთვის მაიკლ შოიზვოლი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი იყო ამგვარ *de facto* რეჟიმებს ჰქონოდათ შეზღუდული საერთაშორისო სამართლებივი სუბიექტურობა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში.⁹ მიუხედავად სხვა საკითხებში არაერთი განსხვავებისა, დაახლოებით მსგავსი პოზიციით გამოირჩეოდა ასევე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი ესენი, რომელსაც მიაჩნდა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები, უნდა გავრცელებულიყო და ვრცელდებოდა *de facto* რეჟიმებზე როგორც ჩვეულებითი სამართალი.¹⁰

აღნიშნულ მეცნიერთა მოსაზრებებსა და არგუმენტებს ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავისი გადაწყვეტილებით საქმეზე *აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ*,¹¹ რამეთუ აღიარებს, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, შესაძლოა დარღვეულ იქნას არამხოლოდ სახელმწიფოს მიერ რომლის საერთაშორისო სამართალსუბიექტობაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას, არამედ *de facto* რეჟიმების მიერაც.

ეს ცალსახა მოცემულობაა, რომლის მნიშვნელობაც უდიდესია, რამეთუ იგი, შეძლებისდაგვარად ახდენს ამ და სხვა ამგვარ რეგიონებში ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის პრევენციას, იმის ხაზგასმით, რომ მიუხედავად საერთაშორისო სისტემაში ამგვარი ერთეულის მარგინალიზებული როლისა, მას საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად დაეკისრება პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლის წინაშე.¹²

2.2. გარე სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა

მიუხედავად ზემოთ მოცემულ მსჯელობაში ხსენებული მექანიზმებისა, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავაც უმწვავეს გამოწვევად რჩება. ამას ადასტურებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021

⁹ *Schoiswohl M.*, Status and (Human Rights) Obligations of Non-Recognized De Facto Regimes in International Law: The Case of “Somaliland”, Martinus Nijhoff Publishers, Leiden/Boston, 2004, 82.

¹⁰ *Essen J. V.*, De Facto Regimes in International Law, Utrecht Journal of International and European Law, Vol. 28, Issue 74, 2012, 34.

¹¹ *Ahmed v Austria* [1996] ECHR 63.

¹² შეად. *რუხაძე ნ.*, სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისაგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 50-51.

წლის შემაჯამებელი ანგარიშიც, სადაც ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული, რომ პანდემიის პირობებში აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების უფლებათა დარღვევის პრევენცია კიდევ უფრო გართულდა. ასევე ხაზგასმულია აღნიშნულის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის საჭიროებაც საერთაშორისო დონეზე.¹³

აქედან გამომდინარე ფაქტია, რომ შეზღუდული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა პრაქტიკაში არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ de facto რეჟიმების მმართველობის ქვეშ მცხოვრებ ადამიანთა ძირითადი უფლებების ეფექტიანად დაცვა რეალობაში განხორციელებულიყო.¹⁴ ეს შედეგი შესაძლოა ორი მიზეზიდან გამომდინარეობდეს: de facto რეჟიმების შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის სტატუსი არ იძლევა ეფექტიანი ზეწოლის მექანიზმის არსებობის სივრცესა და შესაძლებლობას ან/და de facto რეჟიმებს არ გააჩნიათ საკმარისი ძალაუფლება ტერიტორიაზე, რათა ეფექტიანად განახორციელონ მათი მმართველობის ქვეშ მყოფი პირების უფლებათა დაცვა. უნდა აღინიშნოს, შესაძლოა ერთობლივად ადგილი ჰქონდეს ორივე გარემოებას.

იმის გაანალიზებასთან ერთად, რომ საერთაშორისო პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა de facto რეჟიმების უსუსურობა მოქალაქეთათვის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით უზრუნველყოფის პროცესში, აქტუალური ხდება პასუხისმგებლობის დაკისრების გზით, ზემოთ ხსენებული უფლებათა შელახვის პრევენციის სხვა გზების მოძიება. ამ გზას წარმოადგენს გარე სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის ფაქტებისათვის. „ჩვეულებრივ, სახელმწიფო, რომელიც უკანონოდ ახდენს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიას ან ოკუპაციას, პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე მათი თანამოქალაქეების უფლებათა დარღვევისთვის ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის.“¹⁵

საქართველოს შემთხვევაში, ამ კონტექსტში ცხადია, რომ იგულისხმება რუსეთის ფედერაცია და ეს სავსებით ლოგიკურიცაა იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონებში არსებული სიტუაცია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის პროდუქტს წარმოადგენს.¹⁶ მეტიც, რუსეთის ფედერაცია დღემდე მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს აღნიშნულ ტერიტორიებზე.

¹³ შეად. ჯიქია მ., გეგენავა დ., ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2017, 186-187.

¹⁴ იხ. *მირიმანოვა ნ. (რედ.)*, სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება: ჩინეთი-ტაივანის, სერბეთ-კოსოვოსა და კვიპროსის მაგალითები, *ლაშხი გ. (მთარგმნელი)*, 2015, 74.

¹⁵ *Orakhelashvili AL*, Akehurst's Modern Introduction to International Law, 8th ed., Routledge, 2019, 285-286.

¹⁶ შეად. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი I-III, 2009, 441, <<https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>> [10.04.2022].

რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულება. პაქტი მოიცავს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ჩამონათვალს, მისი მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კი ცალსახად საუბრობს იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მის ტერიტორიასა და იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული მოქალაქის პაქტით გათვალისწინებულ უფლებებს. ჩვენი მსჯელობის მიზნებისათვის აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაწილი, რომელიც იურისდიქციაში მყოფ ყველა პირზე საუბრობს.¹⁷ მასზე დაყრდნობით შესაძლოა მიჩნეულ იქნას, რომ ეს უნდა გულისხმობდეს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით უზრუნველყოფის საკითხში.¹⁸

ეს მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის საკითხში, რამეთუ ამგვარად იკვეთება სრულუფლებიანი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტი (ჩვენს შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია), რომელსაც შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევაში.¹⁹

უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრების მომხრე პოზიცია დაიკავა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც. საქმეზე *ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „სახელმწიფოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუკი ისინი უცხოეთის ტერიტორიაზე ან კონკრეტულ ვითარებაზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებენ.“²⁰

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ივანტოცი და სხვები რუსეთისა და მოლდოვის წინააღმდეგ*. სასამართლომ ამ საქმეზე მსჯელობისას დაასკვნა, რომ „ტრანსდნესტრიაში კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისთვის, პასუხისმგებლობა დაეკისრება რუსეთის ფედერაციას, რამეთუ ის გამუდმებით უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას და მისი შეიარაღებული ძალები მობილიზებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე.“²¹ ამ უკანასკნელის

¹⁷ *დევიდე ა., მირიანაშვილი გ.*, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019, 113-114.

¹⁸ შეად. *ჭანკვეტაძე ნ., ბურსულაია გ., მურუსიძე ქ.*, მშვიდობის და კონფლიქტების სწავლება: საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2020, 30.

¹⁹ იხ. *დგებუაძე გ.*, კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენებით, სტატიათა კრებული: ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი), *ზარანდია თ., თოხაძე ა. (რედ.)*, თბ., 2021, 205-206.

²⁰ Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v. Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK. [2001] ECHR.

²¹ *Ivantoc and Others v. Moldova and Russia* [2011] ECHR.

სახით, მეტად მნიშვნელოვანია იმგვარი მაგალითის არსებობა, რომელიც პირდაპირ აკისრებს გარე სახელმწიფოს, იმ ტერიტორიაზე ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელზედაც იგი ეფექტიან კონტროლს ახორციელებს.

ზოგად კონტექსტში ანალოგიური ხოლო ჩვენი განხილვის მიზნებისთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებას საქმეზე *საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)*.²² ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ რუსული ძალების ყოფნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების მმართველი რეჟიმების რუსეთის ფედერაციაზე დაქვემდებარებულობის ხარისხი, ცალსახას ხდიდა, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსეთი კვლავაც ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს.²³ მაშასადამე ამ გადაწყვეტილებამ, უკვე გააჩინა მნიშვნელოვანი იურიდიული საფუძველი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისთვის, რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის დასაყენებლად, რამეთუ დამტკიცდა, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი ამგვარი დანაშაული, რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს და სასამართლომაც სწორედ ამ უკანასკნელს დააკისრა აღნიშნული პასუხისმგებლობა.²⁴

3. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არამართ. ზოგად კონტექსტში სხვა მსგავს ტერიტორიულ ერთეულებზე ყოველთვის იარსებებს ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის მექანიზმების ეფექტურობის პრობლემა.

ამის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საერთაშორისო სისტემის მიერ მათი მარგინალიზაცია. ამკარაა, რომ შეზღუდული სამართალსუბიექტობის ინსტიტუტის დანერგვა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მექანიზმისა, ამ მიზნის მისაღწევად არასათანადოდ ეფექტიანი მექანიზმი აღმოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ერთეულებს, არ უჩნდებათ ცივილიზებული საერთაშორისო სისტემისადმი მიკუთვნებულობის განცდა და ეს სავსებით ლოგიკურია. ისინი არ არიან იმ დიდი სოციალური, ეკონომიკური და

²² Georgia v. Russia (II) [2021] ECHR.

²³ შეად. ხარებავა გ., ჯოხაძე გ., დავლიანიძე ხ., გაეროს ჩართულობა კვიპროსის პრობლემისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. შედარებითი ანალიზი, თბ., 2020, 46.

²⁴ შეად. ოხანაშვილი ნ., ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 105.

პოლიტიკური ურთიერთობების სრულყოფილი წევრები, რომლიდან გამოთიშვაც მათთვის საზიანო იქნებოდა. ბუნებრივია, რომ ვერც იქნებიან მათი ისტორიისა და არსის გათვალისწინებით და შესაბამისად, არც გააჩნიათ უფლებათა დასაცავად ძალისხმევის გაღების მოტივაცია.

აგრეთვე, ცხადია, რომ ვერც გარე სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს, რომელიც მასშტაბურად შეძლებდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას ამ რეგიონებში. ეს პრაქტიკამ უკვე არაერთხელ დაამტკიცა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სულაც არ მიუთითებს რაიმე გაგებით საერთაშორისო სამართლის უსუსურობაზე. მნიშვნელოვანია მოხდეს იმის გააზრება, რომ როგორც ჯეიმს ბრიერლი აღნიშნავდა, საერთაშორისო სამართალი არ წარმოადგენს პანაცეას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეისათვის საერთაშორისო სამართალი ერთადერთი არსებული საშუალებაა, რომელიც გარკვეული ფორმით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის გარანტორს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა დღეისათვის საერთაშორისო სამართალს არ შეუძლია ერთმნიშვნელოვნად აღკვეთოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ამ რეგიონში, მისი გამართულად მუშაობისა და ეფექტიანად ფუნქციონირების შემთხვევაში, იგი ცალსახად შეძლებს საერთაშორისო სისტემის დახვეწას. ეს კი გრძელვადიან პერსპექტივაში იმგვარი საერთაშორისო მშვიდობიანი წესრიგის ფორმირებას გულისხმობს, სადაც უფრო მძლავრი საერთაშორისო მექანიზმები იარსებებს, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მხარდასაჭერად.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, სსმ, 28, 30/10/2008.
3. *დგებუაძე გ.*, კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენებით, სტატიათა კრებული: ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი), *ზარანდია თ., თოხაძე ა. (რედ.)*, თბ., 2021, 205-206.
4. *დევძე ა., მირიანაშვილი გ.*, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019, 113-114.
5. *მირიანაშვილი ნ. (რედ.)*, სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება: ჩინეთი-ტაივანის, სერბეთ-კოსოვოსა და კვიპროსის მაგალითები, *ლაშხი გ. (მთარგმნელი)*, 2015, 74.
6. *ოხანაშვილი ნ.*, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 105, 125-126.
7. *რუხაძე ნ.*, სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისაგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო

- პრაქტიკის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 50-51.
8. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი I-III, 2009, 441, 443-444, <<https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>> [10.04.2022].
 9. *ფიფია ს.*, ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016, 215.
 10. *შამუგია ვ.*, დნესტრისპირეთის კონფლიქტი, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 70-71.
 11. *ჭანკვეტაძე ნ., ბურსულაია გ., მურუსიძე ქ.*, მშვიდობის და კონფლიქტების სწავლება: საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2020, 30.
 12. *ხარებავა გ., ჯობაძე გ., დავლიანიძე ხ.*, გაეროს ჩართულობა კვიპროსის პრობლემისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. შედარებითი ანალიზი, თბ., 2020, 46.
 13. *ჯიქია მ., გეგენავა დ.*, ადამიანის უფლებათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2017, 186-187.
 14. *Orakhelashvili AL.*, Akehurst's Modern Introduction to International Law, 8th ed., Routledge, 2019, 285-286.
 15. *Dixon M., McCorquodale R., Williams S.*, Cases & Materials on International Law, 6th ed., Oxford University Press, 2016, 136.
 16. *Essen J. V.*, De Facto Regimes in International Law, Utrecht Journal of International and European Law, Vol. 28, Issue 74, 2012, 34.
 17. *Tan D.*, Filling the Lacuna: De Facto Regimes and Effective Power in International Human Rights Law, International Law and Politics, 2019, 443.
 18. *Schoiswohl M.*, Status and (Human Rights) Obligations of Non-Recognized De Facto Regimes in International Law: The Case of "Somaliland", Martinus Nijhoff Publishers, Leiden/Boston, 2004, 82.
 19. Georgia v. Russia (II) [2021] ECHR.
 20. Ivantoc and Others v Moldova and Russia [2011] ECHR.
 21. Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v. Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK. [2001] ECHR.
 22. Ahmed v Austria [1996] ECHR 63.